თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 5.11.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო მახათაძე, 2. რამინი რობაქიძე, 3.კობა კირკიტაძე, 4.როლანდი მესხი, 5.ფრიდონ გვენეტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28243044, 30.10.2024 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282430242, 28.10.2024 წ.);

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

3. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282428563, 11.10.2024 წ.);

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

4. მდგრადი განვითარების მიზნების თერჯოლის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282430526, 31.10.2024 წ.).

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 385.0 ათასი ლარით და შეადგენს 34236.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 385.0 ათასი ლარით (ბანკის პროცენტი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. რენტა გაიზარდა 90.0 ათასი ლარით. ჯარიმები გაიზარდა 85.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 200.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 133.3 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი მოქალაქეთა ჩართულობის პროექტები 133.3 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 518.3 ათასი ლარით. მ/შორის:

მერის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 40.0 ათასი ლარით (ელ ენერგიის ხარჯი).

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 133.3 ათასი ლარით მოქალაქეთა ჩართულობის პროექტები 133.3 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით. პროექტების თანადაფინანსება.

თერჯოლის დასუფსთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 270.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 25.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გ.ვერულაშვილმა, დ. გოგბერაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა-62.9 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 33851.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 75.0 ათასი ლარით (გრანტი) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 12.1 ათასი ლარით (გრანტი) სახელშეკრულებო ეკონომია.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 75.0 ათასი ლარით. მათ შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარება გაიზარდა 75.0 ათასი ლარით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 12.1 ათასი ლარით. მათ შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 2.8 ათასი ლარით სახელშეკრულებო ეკონომია.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 9.3 ათასი ლარით, სახელშეკრულებო ეკონომია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებით 19150.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.5 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს.

2024 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 5-ჯერ და საკრებულოს მიერ 6-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 33788.3 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 26371.2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 25730.9 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 640.3 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 329.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 311.3 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 26371.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც სამი კვარტლის გეგმის (26140.8 ათასი ლარი) 100,8%-ია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მდგრადი განვითარების მიზნების თერჯოლის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდა SDG-ების ადგილობრივი დონის ეროვნული დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაში ჩართული იყო მერიის შესაბამისი სამსახურები. თერჯოლის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით მდგრადი განვითარების 10 მიზანი და 22 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.

მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის.დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები, მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანები და ასევე ამოცანების შესრულების 26 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები მოცემულია დანართ 2-ში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას მდგრადი განვითარების მიზნების თერჯოლის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი